სახელმწიფოშესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
ხელშეკრულება №149

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 08 ნოემბერი 2017 წ.

ხელშეკრულების მხარეები:
შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი'' (ს.ნ245426490) წარმოდგენილი მისი დირექტორი მინდია კახიძე (შემდგომში ,,შემსყიდველი''),
სს ,,სილქნეტი'' (ს.ნ 204566978) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით მამულაიშვილის მინდობილი პირი აჭარის სერვის ცენტრის უფროსი ნუგზარ ნაკაშიძე (შემდგომში ,,მიმწოდებელი''),
ორთავე ერთად ,,მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის საფუძველზე, გამარტივებულის შესყიდვების შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ქ. ბათუმში ,,შემსყიდველი ორგანიზაციის" ოფისში ბოჭკოვანი ინტერნეტის ინსტალაცია (მოწყობა) - მომსახურება.
2.2 კლასიფიკატორის კოდი: 72400000.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 857 (რვაასორმოცდაჩვიდმეტი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამა) ხელშეკრულების საფუძველზე, რაზედაც წარმოდგენილი იქნება მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები.

## 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში.

## 6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების ადგილად განისაზღვრება ,,შემსყიდველი''-ს მისამართი: ქ. ბათუმი ალ. პუშკინის ქ. 154;
6.2. მომსახურების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

**7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:**
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
**7.2. შემსყიდველი ვალდებულია:**
- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
**7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:**
- მოთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
**7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:**
ა) მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;
ბ) მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით გამოვლენიდან/შეტყობინებიდან **24** საათის განმავლობაში.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **0.02 %.**
8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **4%-ს,** შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაშიცვლილებებისშეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

14.1. „მხარეები" ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილებები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| შპს „ბათუმისსასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი" | სს „სილქნეტი" |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 245426490 | საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978; |
| მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№154 | იურ. მის: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, წინამძღვრიშვილის ქ., №95 ; |
| ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com | ფაქტ. მის: აჭარის სერვის ცენტრი, ქ. ბათუმი 26 მაისის ქ. N |
| ტელ: (+0422) 25 87 03 | ელ. ფოსტა: Law@silknet.com; |
| | ტელ: 570 70 00 75; |
| მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი" ბათუმის ფილიალი | მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკის" კოდი: TBCBGE22 |
| ბანკის კოდი: TBCBGE22 | ანგარიშის № GE97TB7404936070100004 |
| ანგარიშის № GE92TB4457736020100006 | |
| ------------------------------ | ------------------------------ |
| დირექტორი მინდია კახიძე | აჭარის სერვის ცენტრის უფროსი ნუგზარ ნაკაშიძე |

სილქნეტი SILKNET

დამტკიცებულია სს „სილქნეტის" გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 მარტის N01/26 ბრძანებით

დანართი NF2-G-2
ოპტიკური სილქ ინტერნეტ მომსახურების (GPON) სატარიფო გეგმა
(ფასები მოცემულია ლარში დღგ-ს ჩათვლით)

დანართის ტიპი სტანდარტული - ☑

თარიღი 08.11. 2017

| N | მომსახურების მიწოდების მისამართი | საბონენტო პაკეტი | სერვისის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | საბონენტო ანგარიშის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი. ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, #154 | Business Pro 14 (197 ლარი) | 14 მბ/ წ | |

| მომსახურების პაკეტი | Business Pro 2 □ | Business Pro 4 □ | Business Pro 6 □ | Business Pro 8□ | Business Pro 12 □ | Business Pro 14 □ | Business Pro 18 □ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბონენტო გადასახდელი | 29 ლარი | 49 ლარი | 59 ლარი | 99 ლარი | 149 ლარი | 197 ლარი | 299 ლარი |
| სიჩქარე (გლობალი=ლოკალს) | 2 მბ/ წ | 4 მბ/ წ | 6 მბ/ წ | 8 მბ/წ | 12 მბ/წ | 14 მბ/წ | 18 მბ/ წ |
| | | | | | | | |
| მომსახურების დროებით შეჩერების (დაპაუზების) ყოველთვიური საფასური | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 |
| იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს ერთ საბონენტო ანგარიშზე გააქტიურებული აქვს ფიქსირებული სადენიანი (VOIP) ქსელით სატელეფონო მომსახურება, ოპტიკური ინტერნეტ მომსახურება და ოპტიკური სილქ ტვ მომსახურება, სამივე მომსახურების დროებით შეჩერების (დაპაუზების) ყოველთვიური საფასური | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 |
| ინსტალაციის საფასური (ოპტიკური კაბელის ინსტალაცია მოდემამდე გათვალისწინებულია ინსტალაციის საფასურში) | 560 ლარი | | | | | | |
| ტექნიკური მოწყობილობა | | | | | | | |
| Wifi ოპტიკური ინტერნეტის მოდემი □ (ოთხპორტიანი) აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში | 100 ლარი | | | | | | |

კომპანია : სს"სილქნეტი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978
აჭარის სერვის ცენტრების უფროსი
ნუგზარ ნაკაშიძე

აბონენტი":შპს ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:245426490
დირექტორი
მინდია ვახიძე

სილქნეტი
SILKNET

დამტკიცებულია სს „სილქნეტის“ გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 მარტის N01/26 ბრძანებით

| კომპანიის კუთვნილი ტექნიკური საშუალებების დაზიანებისას/დაუბრუნებლობისას ხელშეკრულების/დანართის გაფორმების მომენტისთვის აბონენტზე დასარიცხი ტექნიკური საშუალებების სარეალიზაციო ღირებულება | |
|---|---|
| მოწყობილობის დასახელება | ტექნიკური საშუალების სარეალიზაციო ღირებულება |
| ოპტიკური მოდემი (ერთპორტიანი, ოთხპორტიანი, wifi მოდემი) | 125 |

მომსახურების საფასურის გადახდის თარიღი

1. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.
2. აბონენტის მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე;
3. ინსტალაციის ერთჯერადი საფასურის გადახდა ხდება მომსახურების პირველი თვის საბონენტო გადასახდელთან ერთად.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის სპეციალური პირობები:

1. აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური სატარიფო გეგმით გათვალისწინებული წესის და პირობების შესაბამისად;
2. მომსახურების საფასურის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, მომსახურება იზღუდება.
3. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა მომსახურების შეზღუდვიდან არასრული 3 (სამ) თვის (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული ორი თვე) მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე, ხელშეკრულება წყდება.
4. მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეზღუდვიდან მის შეწყვეტამდე, დავალიანების დაფარვის პირობით.
5. თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ოპტიკური სილქ ინტერნეტ ან/და VOIP სატელეფონო/სილქ ტვ მომსახურება, ოპტიკური სილქ ინტერნეტ მომსახურების ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტისას იგი არ არის ვალდებული დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.
6. სატარიფო გეგმით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებები აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

კომპანია : სს"სილქნეტი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978
აჭარის სერვის ცენტრების უფროსი
ნუგზარ ნაკაშიძე

აბონენტი":შპს ბათუმის სასწრაფო სამედი
ცინო დახმარების ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:245426490
დირექტორი
მინდია კახიძე